გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება №95

2025 წლის 8 აგვისტო

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (ს/კ 66.45.18.202) პირობიანი აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის, თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2025 წლის 29 იანვარს შემოსულია განცხადება, რომელშიც მოთხოვნილია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორში, სტალინის გამზირი N19 - ის მიმდებარედ ს/კ 66.45.18.202 უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულების გაგრძელება/გაფორმება.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის" მიერ 2025 წლის 17 ივლისს N123-ქ, ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, გორში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.18.202, დაზუსტებული ფართობით - 38.00 კვ.მ (მისამართი: ქალაქი გორი, სტალინის გამზირი N19 - ის მიმდებარედ) საწყისი საპრივატიზებო ღირებულებად განისაზღვრა: 36,000.00 (ოცდათექვსმეტი ათასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ხოლო მისი იჯარის ფორმით გადაცემა ადგილობრივ ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.
გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.18.202 ფართობით 38 კვ.მ უძრავი ქონების, აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, რისთვისაც საჭიროა

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად განისაზღვროს იჯარის ფორმით გადასაცემი ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ საწყისი ყოველწლიური ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (გორში, სტალინის გამზირი N19 - ის მიმდებარედ) მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.18.202 საერთო ფართობით 38 კვ.მ., გაცემული იქნეს, სარგებლობის უფლებით, იჯარის ხელშეკრულებით, ელექტრონული აუქციონის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით, კომერციული საქმიანობისთვის, მარტივი კონსტრუქციის განთავსების მიზნით, რომლის ზომები და იერსახე უნდა შეთანხმდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილებასთან.

2.მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.18.202 საერთო ფართობით 38 კვ.მ., საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს 36,000.00 (ოცდათექვსმეტი ათასი) ლარით.

3. საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 4800 (ოთხიათას რვაასი) ლარის ოდენობით.

4. აუქციონის პირობად განისაზღვროს შემდეგი:

ა) მიწის ნაკვეთი იჯარის ფორმით გადაცემულ იქნეს კომერციული საქმიანობისთვის, მარტივი კონსტრუქციის განთავსების მიზნით, რომლის ზომები და იერსახე უნდა შეთანხმდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილებასთან;

ბ) მოიჯარე ვალდებულია იჯარის მოქმედების მთელ პერიოდზე დარეგისტრირდეს აბონენტად შესაბამისი კომუნალური მომსახურების გამწევ ორგანიზაციებში (ელ. ენერგია, ბუნებრივი აირი, წყალმომარაგება, დასუფთავება);

გ) მოიჯარე ვალდებულია მოაწყოს სველი წერტილი იჯარის ობიექტზე იმ შემთხვევაში, თუ გორის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილების შესაბამისად, აღნიშნული პირობა აუქციონის გამოცხადებისას გათვალისწინებული იქნება წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებულ ქონებაზე;

დ) მოიჯარე ვალდებულია, საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ, თავისი ხარჯებით, მოახდინოს მუნიციპალური ქონების გამოთავისუფლება და ჩაბარება პირვანდელ მდგომარეობაში.

ე) გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც 2 (ორი) კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს). იჯარის ფორმით გადაცემული ქონება გამოთავისუფლებულ იქნას „მოიჯარის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

5. იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 2 (ორი) წლის ვადით.

6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე — დავით რაზმაძე